

გააკეთოს ერთიანი სააგენტოს აჭარის პირობებში მონაწილეობის მოთხოვნა

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდაპიროს რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.
ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი.
მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

კრიკოსი N 108

წელს უნივერსიტეტი 1144-მა სტუდენტმა დაამთავრა

საქართველო, ქართული ჯარის სრულად თავსებადი ნატოს სტანდარტებთან, ქართული სახელმწიფო და ინსტიტუტები აბსოლუტურად აკმაყოფილებენ ნატოს ყველა სტანდარტს, ერთადერთი დარჩენილი თავად ნატოს წევრი ქვეყნების პოლიტიკური გადაწყვეტილება, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. «საქართველო ნატოს ხუთ, ექვს, შვიდ ქვეყანას უსწრებს სხვადასხვა პარამეტრით, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერით და დემოკრატიულობის გადამოსახედიდან», - დასძინა პაპუაშვილმა.

ნანა აბულაძე 577 20 35 90
ტრადიციულად, შიდა საქართველოში, ბედნიერი სახეები და შეგარძნება, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა ცხოვრებაში. თუმცა, იწყება უფრო რთული, საინტერესო და საპასუხისმგებლო გზა, რომელზეც უნდა გამოიყენოს ის ცოდნა და განათლება, რაც უნივერსიტეტში მიიღო - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მანტიებში გამოწვევით ახალგაზრდებს რეკომენდაციები მერაბ ხალვაშვი, მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა, სწავლის დასრულება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს



ამაღლებული იყო თეთრ ხალათებში გამოწყობილი ჯანდაცვის მიმართულების კურსდამთავრებულთა ექიმის ფიცის საზეიმო ცერემონია დადგა. კურსდამთავრებულთა საზეიმო ცელიცების ცერემონია ცაში ასრულილი ქუდებით, ფოიერვერკით და პოპულარული მუსიკოსის «თამაძის» კონცერტით დასრულდა. ღონისძიება მუსიკალურად ასევე გააფორმა ბს-უს ბენდმა «OFF SIDE»-მ.
- მინდა ყველა კურსდამთავრებულს მივულოცო დღევანდელი დღე და წარმატებები ვუსურვო. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანს, საზეიმო განწყობასთან ერთად, აქვს ერთგვარი სევდაც, თუმცა, ვაცნობიერებთ, რომ ამის შემდგომ ბევრად საპასუხისმგებლო ეტაპი იწყება ჩვენს ცხოვრებაში. დარწმუნებული ვარ, აქ მიღებული ცოდნა და მემკვიდრეობა, რომ ვიყო ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი თანამშრომელი ჩემს სფეროში, - გვითხრა იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტის კურსდამთავრებულმა თამარ ტაკიძემ.

რუსეთის სასტიკი, გაუმართლებელი, არაპროვოცირებული და სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ ჩვენ კოლექტიურად გადაწყვიტეთ, შეგვეზღუდა მიმოსვლა, კონტაქტები. ველოდებით, რომ ქვეყნები, რომლებსაც სურთ ევროკავშირში გაწევრიანება, ამავე მიდგომას მიჰყვებიან, - განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ. მისი თქმით, ერთადერთი გზა ომის რაც შეიძლება მალე დასასრულდება, რუსეთზე ზეწოლის განხორციელებაა და, ასევე, იმის უზრუნველყოფა, რომ რუსეთი ძალიან დიდ საფასურს იხდის უკრაინაში უწყვეტი საშინელი ქმედებებისთვის.

იწყება ახალი ეტაპი მათ ცხოვრებაში და მე მჯერა, რომ ის საბაზო განათლება, რომელიც მიიღეს უნივერსიტეტში, მათ გამოადგებათ კარიერულ განვითარებაში. დარწმუნებული ვარ, ისინი წარმატებით დასაქმდებიან, ამას სტატისტიკაც ცხადყოფს - კურსდამთავრებულთა 70 პროცენტზე მეტი არის დასაქმებული და აქედან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 60 პროცენტამდე - თავისი პროფილის შესაბამისად. კიდევ ერთხელ ვულოცავ მათ და წარმატებებს ვუსურვებ მომავალში. მჯერა, ვიამაყებთ ამა თუ იმ სფეროში მათი წარმატებებითა და მიღწევებით, - განაცხადა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშვიმ.
აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასწავლებელი წელს ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის 1144-მა სტუდენტმა დაამთავრა. უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულებისა და სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის 200-ზე მეტს სერტიფიკატი გადაეცა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, მინისტრ ილია დარჩიაშვილის საქართველოში პოლონეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ მარიუშ პიეტრ უკთან შეხვედრა გაიმართა. ქართულმა მხარემ პოლონელ მედიკოსთან დაკავშირებული ინციდენტის გამო შეშფოთება დააფიქსირა - ერთ-ერთმა ექიმმა მსჯავრდებულ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო სინჯის პროცედურის დარღვევით კლინიკიდან გატანა სცადა. სამინისტროს ინფორმაციით, პოლონელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ არ არის ინფორმირებული, თუ რამ გამოიწვია პოლონელი ექიმის საქციელი.

სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ნანა აბულაძე 514 22 22 80
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშვიმ და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ მოაწერეს
მემორანდუმის ფარგლებში ხელი მოეწერა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისა და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში საერთო ინტერესების გათვალისწინებით ურთიერთთანამშრომლობის განვითარებას.
მემორანდუმის მიზანია, აგარარული ექსპტენციის მიმართულებით, საჭიროებებთან დაკავშირებით, აგარარული ექსპტენციის მიწოდებაში უნივერსიტეტის მონაწილეობის გაზრდა, ასევე, კვალიფიციური კადრების მომზადება, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის ხელშეწყობა.



გიორგი ვაშაძის «ნაციონალური მოძრაობის» პრემიერობის კანდიდატობაზე საუბარი იმას ნიშნავს, რომ ენმ-ში «ქართული ოცნების» მომხრეები გაძლიერდნენ და ისეთი კანდიდატის დაყენება უნდა, ვინც «ქართულ ოცნებას» პრობლემებს ვეღარ შეუქმნის, - განაცხადა «გიორგის» დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ. მისი თქმით, ასეთი ძვრები ენმ-ში დიდი ხანია, დაწყებულია და თუ მათი პრემიერობის კანდიდატი ვაშაძე გახდება, გასაკვირი არაა არაფერია.

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამოიცანით გაზეთი «აჭარა»!
ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დაწესებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.
გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!
ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!
წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



გაუმეზო საკურორტო სეზონი ბაიხსნა

ცოტნე ცაგარე 27 48 94

15 ივლისს კურორტ ბეშუმში ზაფხულის ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნა. კურორტი სეზონს რიგი სიახლეებით შეხვდა. რემონტი ჩაუტარდა წყალსადენ სისტემას, ზამთრის ნარჩენებისგან გაიწმინდა ტერიტორია, მიმდინარეობდა კოტეჯების მშენებლობა...

აფიულმა ანსამბლებმა კონცერტი გამართეს. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ხელოვნების მემკვიდრეების ნამუშევრების, ხალხური რეწვისა და სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა, ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა...



შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმის ტექნოპარკში უკრაინულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ქალთა საინიციატივო ჯგუფებთან მუშაობა შეაჩამეს. ერთი წლის განმავლობაში "ქეა კავკასია" უკრაინელი ლტოლვილების მხარდასაჭერად და მათი ჰუმანიტარული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა აქტივობას ამერიკის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა...

ინკლუზიური განათლების საკითხზე საინფორმაციო შეხვედრა გამართა ბათუმში. დისკუსიის თემა იყო ინკლუზიური განათლების პრაქტიკის და ახალი მიდგომების დანერგვა როგორც ფორმალური სწავლების პროცესში, ასევე არაფორმალურ აქტივობებში...

7 წლის წინ თურქეთში ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპულნი და დაშავებულნი 15 ივლისს ბათუმში გაიხსენეს. ამ დღეს პრეზიდენტის სასახლესა და სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებზე თავდასხმას 200-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა...

ბათუმის ბუღვარის ადმინისტრაცია ბუღვარში ფანჩატურის მოწყობას გეგმავს, რისთვისაც ბიუჯეტითა და 30 ლარის გათვალისწინებით 3 მუშაოს შესყიდვას გაეწეოს ხელშეწყობა...

მომხსენებელი ნაირა შუტაბაძე

„ფაუსტი“ – შებრძანებუნი, რომელსაც ადამიანი ცხოვრების ბზაზე გადის...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ადამიანის ცხოვრების მშვენიერ არე გზა, მუდმივი ჭიდილი ეშმაკთან, რომელიც ცდილობს გაცდუნოს და მასთან ერთად უფსკრულში ჩაგითაროს, ჭიდილი საკუთარ მესთან, დამარცხებისა და გამარჯვების ქაოსური შეგარძნებები - ბათუმის დრამატული თეატრის მცირე სცენაზე სპექტაკლი „ფაუსტი“, მაყურებლის წინაშე მოძრაობს თეატრი წარსადაც. სპექტაკლის რეჟისორი კახა ბაკურაძეა, რომელმაც მიმდინარეობის, ბუტოს სტილისა და საპირფარეოს გამოყენებით, უსიტყვო პერფორმანსით, შეძლო გადმოეცა ის სიმძაფრე და მისტიკურობა, რაც იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ფილოსოფიურ ტრაგედიას ალერსობით...



ადამიანის შინაგანი, რომ მოძრაობის თეატრი აჭარბებს საგასტროლო ტურის ფარგლებში იმყოფება, რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსის „დედაქალაქის პროექტული თეატრები რეგიონებში“ - ხელშეწყობა“ ხორციელდება...

გვიხარია ასეთი შეხვედრები ჩვენთვის უცხო პუბლიკასთან. გვინტერესებდა, როგორ მიიღებდნენ, აღიქვამდნენ ჩვენს ჩანაფიქრებს. მაყურებელთა აპოლოდისმენტებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ თეატრის ტურნე წარმატებით ჩაიარა. ვეცადეთ, სადაც მივდიოდით, ზეიმი მიგვეტანა და ვფიქრობ, გამოვივიდა კიდევ. ჩვენი მოვალეობაა, ამბავი უსიტყვოდ მოგვცეთ და რამდენადაც ოსტატურად შევძლებთ ამას, იმდენად გავაგრძელებ ჩვენი დადგმები, ჩვენი სათქმელი მაყურებლებისთვის...

სტუდენტები ფინანსური და მორალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ

მარი ხმერთხიშვილი 27 48 93

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ ქართველი სტუდენტები გამოდიან. მათი განცხადებით, სტუდენტების ერთი კურსზე, რომლის დროსაც უცხო ქვეყანაში ახალგაზრდები რთულ პირობებში აღმოჩნდნენ, უნივერსიტეტმა პასუხისმგებლობა მოიხსნა და ისინი გაურკვეველ ვითარებაში მიატოვა...

პროგრამაში UCM- progetto inclusion cucina Italiana-Euroeast ჩაერთო უნივერსიტეტიდან 60 სტუდენტი. პროგრამა არა მხოლოდ ბსუ-სთან, არამედ საქართველოს სხვადასხვა კოლეჯთანაც ხორციელდებოდა. UCM პროგრამის ფარგლებში უნდა გაეკეთებინათ სამუშაო სტაჟირება იტალიაში სამზარეულოთი დაინტერესებულ სტუდენტებს, რის შემდეგაც ავადმჯობით ორენოვან სერტიფიკატს. პროგრამაში დაკომპლექსირებულნი იყვნენ და გაწერილია, რომ ვალდებული იყო აენაზღაურებინა ორმხრივი გზის, სამკერადი კვების, საცხოვრებლის ხარჯები, სამოგზაურო დაზღვევა...

რომლებმაც გამოთქვეს პრეტენზია მოუწესრიგებელი ოთახების გამო, ჩამოართვეს გასაღები და ღამით ღია ცის ქვეშ გაყარეს. იმ ბავშვების საცხოვრებელი პირობებიც კი მხოლოდ შედარებით უკეთესი იყო, რომლებიც კმაყოფილები იყვნენ. მაინც აკლდათ ისეთი ელემენტარული რამ, როგორიცაა მოწესრიგებული სველი წერტილი, სარეცხი მანქანა და ა. შ. პროგრამის მიხედვით სტაჟირება უნდა ყოფილიყო დღეში 6-საათიანი და +4-საათიანი სასწავლო გეგმა, მაგრამ როგორც კი ჩამოვედით, 10-საათიანი სტაჟირება გამოვიცხადეს...

ბნებოდნენ, რომ უნივერსიტეტიდან არ ჰყავდათ. დახმარების თხოვნის შემდეგ, როცა ვუთხარით, რომ უცხო ქვეყანაში, სრულიად მარტოვებს, სოფლად, საშინო გარემოცვაში გვეწვედა ღამის გათენება ღია ცის ქვეშ, მათი პასუხი იყო: „ჩვენ დამსაქმებლამდე მივიყვანეთ, დანარჩენი აღარ გვეხება“. სტუდენტები პერიოდულად ჩამოვდიოდით საქართველოში ჩვენი ხარჯებით, რადგან პროგრამის ხელმძღვანელები ყველაწინ პასუხისმგებლობას იხსნიდნენ და ამბობდნენ, რომ ჩვენზე დასაზარები არც დრო და არც ფული ჰქონდათ. ბევრი გასაჭირის შემდეგ დაგვრუნდით საქართველოში დაღალბებულნი, ფსიქოლოგიურად დაზარალებულნი და იმედგაცრუებულნი...

საერთაშორისო კონფერენსიაზე

თამაზ მუხამბერიძე 27 48 94

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს ბუღვარეთის რესპუბლიკის ქალაქ ბურგასში გამართულ მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენსიაში...

შორისო სამეცნიერო კონფერენსიაში „უკრაინა, ბუღვარეთი, ევროკავშირი: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“...

საინტერესო მოხსენებები წარადგინეს ასოციირებულმა პროფესორმა რამინ ცინარციემ,...

მოწვეულმა უფროსმა მასწავლებელმა ლემა ბერიძემ, დოქტორანტებმა გიორგი რიფაძემ და ალექო მელაძემ. ვიზიტის ფარგლებში, დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობის მიმართულებები...

